

მანა გონაშვილი
ლია თოდუა

მოქალაქე და ეკონომიკა

თამაშების და სავარჯიშოების კრებული
მასწავლებლისათვის

თბილისი 2016

კრებული განკუთვნილია სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისათვის. კრებულში მოყვანილი სავარჯიშოები და თამაშები გამოადგება იმ მასწავლებლებს, რომლებსაც სურვილი აქვთ ჩაატარონ აქტიური გაკვეთილები IX-XI კლასის დამხმარე სახელმძღვანელოს „მოქალაქე და ეკონომიკა“ გამოყენებით.

დამხმარე სახელმძღვანელო „მოქალაქე და ეკონომიკა“ და მისი დამხმარე მასალები ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე www.momxmarebeli.ge.

პუბლიკაცია მომზადდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულების ზეგავლენა ქართველ მომხმარებლებზე და მათი ცნობიერების ამაღლება“ (Raising Awareness of Local Actors on the Implications of the Association Agreement for Georgian Consumers) ფარგლებში. პროექტს ახორციელებს „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“.

პუბლიკაცია არ გამოხატავს ევროკავშირის პოზიციას.

© საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრს“.

© მაია გონაშვილი, ლია თოდუა; თბილისი, 2016.

სავარჯიშო 1: სიუჟეტური თამაში „მოამზადე რეკლამა“

თემები, რომელსაც ეხმაურება: რეკლამა, მოთხოვნები, საქონლის დიფერენცირება, მომხმარებლის დაცვა შეცდომაში შეყვანისგან.

საჭირო მასალა: ბარათები (იხ. ჩანართი, გვ.15-16, სავარჯიშო 1), ფლიპჩარტის 5 ფურცელი, 10-15 ცალი ფერადი (2-3 ფერის) ფლომასტერი.

ხანგრძლივობა: 25-30 წთ

მონაწილეთა რიცხვი: 10 ან მეტი

განხორციელების ინსტრუქცია:

- გაყავით კლასი 5 ჯგუფად.
- ჯგუფებს დაურიგეთ (კენჭისყრის პრინციპით) თითო ბარათი-დავალეზა. ჯგუფებს აგრეთვე დაურიგეთ ფლიპჩარტის თითო ფურცელი და 2-3 ფერის ფლომასტერი.
- მიეცით ჯგუფებს 10 წუთი დავალების შესასრულებლად.
- სთხოვეთ ჯგუფებს წარმოადგინონ მომზადებული რეკლამა და სლოგანი კლასის წინაშე.
- განიხილეთ წარმოდგენილი რეკლამები. დასვით კითხვები:
 - რომელი რეკლამა იყო ყველაზე საინტერესო ან მიმზიდველი?
 - რომელი რეკლამა მოიზიდავდა მეტ მყიდველს?
 - რომელი რეკლამა შეიცავდა არასწორ ან გაზვიადებულ ინფორმაციას?
 - რომელ რეკლამას შეეძლო შეცდომაში შეყვანა მომხმარებელი?

სავარჯიშო 2: როლური თამაში „ფორთოხლის ბაზარი“

თემები, რომელსაც ეხმაურება: ვაჭრობა, თავისუფალი ბაზარი, საბაზრო ეკონომიკა, საბაზრო ფასი, ბაზრის „უხილავი ხელი“.

ხანგრძლივობა: 15-20 წთ. გაითვალისწინეთ: თამაში ძალზე სმაურიანია!

საჭირო მასალა: ბარათები (იხ. ჩანართი, გვ. 17-18, სავარჯიშო 2), დაფა და ცარცი.

მონაწილეთა რიცხვი: 24.

განხორციელების ინსტრუქცია:

თამაში წარიმართება სამ რაუნდად. თითო რაუნდის ხანგრძლივობა 3-4 წუთია.

წინასწარ მოამზადეთ დაფაზე ასეთი ცხრილი:

| ფასი (ლარი) | რაოდენობა | | |
|----------------|-----------|-----------|------------|
| | I რაუნდი | II რაუნდი | III რაუნდი |
| 0,1 | | | |
| 0,2 | | | |
| 0,3 | | | |
| 0,4 | | | |
| 0,5 | | | |
| 0,6 | | | |
| 0,7 | | | |
| 0,8 | | | |
| 0,9 | | | |
| 1 | | | |

გაყავით კლასი ორ თანაბარ ნაწილად: ერთი ნაწილი იქნება ფორთოხლის მყიდველები, მეორე – გამყიდველები.

ეს განაწილება უნდა შენარჩუნდეს სამივე რაუნდის განმავლობაში!

რაუნდი 1:

დაურიგეთ მყიდველებს და გამყიდველებს შესაბამისი ბარათები. გააფრთხილეთ, რომ თავისი ბარათი არავის აჩვენონ. აუხსენით, რომ მათ აქვთ 3 წუთი ვაჭრობისთვის. როგორც კი რომელიმე მყიდველი და გამყიდველი ფორთოხლის ფასზე შეთანხმდება, მათ შორის ვაჭრობა შემდგარად ითვლება, მათ თავისი ბარათები მაშინვე თქვენ უნდა ჩაგაბარონ და გითხრან ფასი, რომელზეც შეთანხმდნენ. ყოველი ასეთი „ტრანსაქციის“ შემდეგ ჩაწერეთ „1“ დაფაზე მომზადებული ცხრილის შესაბამის გრაფაში.

3 წუთის შემდეგ შეწყვიტეთ ვაჭრობა და ჩამოართვით მონაწილეებს დარჩენილი ბარათები.

რაუნდი 2:

განაცალკევით მყიდველების და გამყიდველების ბარათები და დაარიგეთ ხელახლა. მიაქციეთ ყურადღება, რომ მყიდველების და გამყიდველების როლში იგივე მოსწავლეები დარჩნენ, რაც პირველ რაუნდში. შემდეგ გაიმეორეთ იგივე, რაც პირველ რაუნდში.

რაუნდი 3:

გაიმეორეთ იგივე, რაც მეორე რაუნდში.

შეჯამეთ თამაშის შედეგი:

- როგორია ფორთოხლის წონასწორული ფასი?
- რატომ იყო ფასთა განსხვავება დიდი პირველ რაუნდში და რატომ შემცირდა ის შემდეგ?

სავარჯიშო 3: თამაში „რწყილი და ჭიანჭველა“

თემები, რომელსაც ეხმაურება: ვაჭრობა, გაცვლა

ხანგრძლივობა: 15 წუთი

საჭირო მასალა: ბარათები (იხ. ჩანართი, გვ. 19-20, სავარჯიშო 3);

მონაწილეთა რიცხვი: 10

განხორციელების ინსტრუქცია:

აირჩიეთ თამაშში მონაწილეობისთვის 10 მოხალისე. დაურიგეთ მათ თითო-თითო ბარათი და მიეცით 10 წუთი თამაშისთვის.

გაითვალისწინეთ: თამაშის წამყვანი არის მოხალისე, რომელსაც ერგო ჩაქუჩის მფლობელობა. დაელოდეთ 3-4 წუთი და თუ შეატყვევთ, რომ მას თამაშში გარკვევა გაუჭირდა, დაეხმარეთ მას თანმიმდევრული გაცვლების ორგანიზებაში.

თამაშის შემდეგ მოაწყვეთ მისი განხილვა:

- რამდენად რთულია სასურველი ნივთის მიღება გაცვლის საშუალებით?
- როგორ გააიოლებდა ამ დავალებას ფული?

სავარჯიშო 4: ზედმეტი პროდუქტი

თემები, რომელსაც ეხმაურება: რატომ ვაჭრობენ ადამიანები

ხანგრძლივობა: 5-10 წუთი

საჭირო მასალა: 3 სახეობის წვრილმანი საკანცელარიო ნივთები (მაგალითად: სკრები, ფულის რეზინი, საშლელი, ნებოვანი ქაღალდი და ა.შ), 10-20 ცალი თითოეული. 5 ცალი მცირე ზომის ტკბილეული (კანფეტი). 4 ცალი ქაღალდის პარკი. გაითვალისწინეთ: ნივთები მასწავლებელს არ უბრუნდება!

მონაწილეთა რიცხვი: 4

განხორციელების ინსტრუქცია:

ქაღალდის პარკებში წინასწარ მოათავსეთ მომზადებული ნივთები ისე, რომ ყველა პარკში მხოლოდ ერთგვაროვანი ნივთები იყოს (მხოლოდ სკრეები, მხოლოდ რეზინები, მხოლოდ კანფეტები). დახურეთ პარკები ისე, რომ მათი შემადგენლობა გარედან არ ჩანდეს და დაალაგეთ პარკები მაგიდაზე.

გამოიძახეთ 4 მოხალისე და სთხოვეთ თითო პარკი აირჩიონ. ამის შემდეგ უთხარით მათ, რომ პარკების შიგთავსი მათი საკუთრებაა, თუმცა თუ სურვილი აქვთ, შეუძლიათ 3 წუთის განმავლობაში „ივაჭრონ“ და ნაწილი ნივთები ერთმანეთში გაცვალონ.

3 წუთის შემდეგ შეწყვიტეთ ვაჭრობა და თითოეულ მონაწილეს სთხოვეთ ახსნას, რატომ მიიღო (ან არ მიიღო) მონაწილეობა ვაჭრობაში.

- მიიღო თუ არა სარგებელი ამ ვაჭრობიდან?
- როგორ გადაწყვიტა რა „ფასად“ უნდა გაეცვალა თავის ნივთები სხვისაში?

სავარჯიშო 5: როლური თამაში „ვიჯესტი და ბლასტერი“

თემები, რომელსაც ეხმაურება: ვაჭრობა, თავისუფალი ბაზარი, რეკლამა, ფასი, კონკურენცია.

ხანგრძლივობა: 25-30 წუთი. გაითვალისწინეთ: თამაში ძალზე ხმაურიანია!

საჭირო მასალა: ბარათები (იხ. ჩანართი, გვ. 21-24, სავარჯიშო 5) ფლიპჩარტის 4 ფურცელი, 4 ფლომასტერი, ფლიპჩარტის ფურცლის კედელზე გასაკრავი საშუალება, A-4 ფურცელი და კალმ-ისტარი ყოველი მონაწილისთვის. 2 მცირე პრიზი გამარჯვებულებისთვის.

მონაწილეთა რიცხვი: 10-ზე მეტი.

განხორციელების ინსტრუქცია:

შეარჩიეთ 4 მოხალისე, რომლებიც „ბიზნესმენები“ იქნებიან. მათ უნდა გაყიდონ პირობითი პროდუქტები „ვიჯესტი“ და „ბლასტერი“. დაურიგეთ მათ ბიზნესმენების ბარათები და გააფრთხილეთ, რომ ისინი ერთმანეთის კონკურენტები არიან. მიეცით მათ 5 წუთი, რათა თავისი „მაღაზია“ მოამზადონ (დაურიგეთ ფლიპჩარტის ქაღალდები, ფლომასტერები და ფურცლის კედელზე გასაკრავი საშუალება). აგრეთვე დაურიგეთ A-4 ფურცლები და კალმები და გააფრთხილეთ, რომ ნავაჭრი უნდა აღრიცხონ (მაგალითად ასე: „თამუნას – 3 ბლასტერი 5 ლარად, გივი – 2 ვიჯესტი 10 ლარად“ და ა.შ.)

ყველა დანარჩენი მოსწავლე მომხმარებელია. დაურიგეთ მათ მომხმარებლის ბარათები (დარიგებისას გააფრთხილეთ, რომ თავისი ბარათი სხვას არ აჩვენონ) და აუხსენით თამაშის წესები: თითოეული უნდა შეეცადოს ფული მთლიანად დახარჯოს ისე, რომ შეიძინოს რაც შეიძლება მეტი პროდუქტი. დაურიგეთ მომხმარებლებსაც A-4 ფურცლები და კალმები და გააფრთხილეთ, რომ თითოეული ნავაჭრი უნდა აღრიცხონ (მაგალითად ასე: „მევისგან – 3 ბლასტერი 20 ლარად, დათოსგან – 2 ვიჯესტი 9 ლარად“ და ა.შ.).

გამოაცხადეთ ბაზარი გახსნილად. 15 წუთის განმავლობაში მიეცით მოსწავლეებს საშუალება ივაჭრონ. 15 წუთის გასვლის შემდეგ გამოაცხადეთ ბაზარი დახურულად და სთხოვეთ მოსწავლეებს, დაიკავონ თავისი ადგილები. მომხმარებლებს სთხოვეთ შეაჯამონ, რამდენი ვიჯესტი და რამდენი ბლასტერი შეიძინეს. ბიზნესმენებს სთხოვეთ შეაჯამონ თანხა, რაც მიიღეს ვაჭრობის შედეგად.

სთხოვეთ მომხმარებლებს, გაიანგარიშონ თავისი სარგებელი. ამისთვის უნდა გამოიყენონ შემდეგი ფორმულა:

$$\text{სარგებელი} = \frac{\text{შესყიდული ვიჯეტების რაოდენობა}}{\text{შესყიდული ბლასტერების რაოდენობა}} + 3 \times \frac{\text{შესყიდული ბლასტერების რაოდენობა}}{\text{შესყიდული ბლასტერების რაოდენობა}}$$

გამოავლინეთ მომხმარებელი, რომელმაც ყველაზე მეტი სარგებელი მიიღო. დააჯილდოვეთ და სთხოვეთ აღწეროს თავისი ვაჭრობის სტრატეგია.

სთხოვეთ ბიზნესმენებს, გამოიანგარიშონ თავისი მოგება. ამისთვის მათ უნდა შეკრიბონ მთელი თანხა, რაც მიიღეს და გამოაკლონ განუყიდი დანახარჯები.

$$\text{მოგება} = \frac{\text{მთელი მიღებული თანხა}}{\text{მთელი თანხა}} - 510 \text{ ლარი}$$

გამოავლინეთ ბიზნესმენი, რომელმაც ყველაზე დიდი თანხა აიღო. დააჯილდოვეთ და სთხოვეთ აღწეროს თავისი ვაჭრობის სტრატეგია. სთხოვეთ დანარჩენ „ბიზნესმენებს“ აგრეთვე აღწერონ და ახსნან თავისი „ვაჭრობის“ გამოცდილება:

- როგორ ადგენდნენ ფასს?
- როგორ იზიდავდნენ მომხმარებელს?
- უწევდნენ თუ არა ანგარიშს კონკურენტების ქმედებას?

სავარჯიშო 6: როლური თამაში „მონპლანდია“

თემები, რომელსაც ეხმაურება: კონკურენცია, მონოპოლია, სახელმწიფო დახმარება.

ხანგრძლივობა: 20-25 წთ

საჭირო მასალა: ბარათები (იხ. ჩანართი, გ. 27-28, სავარჯიშო 6), ფლიპჩარტის 5 ფურცელი, 5 ფლომასტერი.

მონაწილეთა რიცხვი: 12 და მეტი

განხორციელების ინსტრუქცია:

კლასი გაყავით 6 ჯგუფად – ერთი იქნება ჟიური, დანარჩენი 5 – კომპანიები. დაურიგეთ მათ როლები.

მიეცით „კომპანიებს“ 5 წუთი პრეზენტაციების მოსამზადებლად.

ამ დროის გასვლის შემდეგ სთხოვეთ „ჟიურის“, სათითაოდ მოიწვიოს კომპანიები, მოუსმინოს მათ პრეზენტაციებს და დაუსვას კითხვები.

პრეზენტაციების დასრულების შემდეგ სთხოვეთ ჟიურის, გამოაცხადოს გამარჯვებული კომპანია. დააჯილდოვეთ გამარჯვებული კომპანია ტაშით.

თამაშის დასრულების შემდეგ მოაწყვეთ თამაშის გარჩევა:

- რა სარგებელი და რა ზიანი მოაქვს მონოპოლს?

სავარჯიშო 7: საშიში პროდუქტები

თემები, რომელსაც ეხმაურება: ბაზრის ჩავარდნები, პროდუქციის უსაფრთხოება, ბაზრის რეგულირება სახელმწიფოს მიერ.

ხანგრძლივობა: 20 წთ

საჭირო მასალა: ბარათები (იხ. ჩანართი, გვ. 29-30, სავარჯიშო 7), ფლიპჩარტის 5 ფურცელი, 5 ფლომასტერი

მონაწილეთა რიცხვი: 10 და მეტი

განხორციელების ინსტრუქცია:

დაყავით მოსწავლეები 5 ჯგუფად და დაურიგეთ დავალებები. მიეცით ჯგუფებს 7 წუთი პრეზენტაციების მოსამზადებლად.

მოისმინეთ თითოეული ჯგუფის პრეზენტაცია. მიეცით საშუალება სხვა ჯგუფებს, დაუსვან კითხვები ან მისცენ შენიშვნები.

მოაწყვეთ თამაშის განხილვა:

- რომელი პროდუქციის უსაფრთხოება უნდა კონტროლდებოდეს სახელმწიფოს მიერ?
- რომელ პროდუქციას სჭირდება გამაფრთხილებელი წარწერები?
- რამდენად ხშირად ვკითხულობთ პროდუქციის ეტიკეტს ან ინსტრუქციას?

სავარჯიშო 8: ჩემი და საერთო

თემები, რომელსაც ეხმაურება: საკუთრება, საერთო მოხმარების რესურსი.

ხანგრძლივობა: 7-10 წთ

საჭირო მასალა: ერთი კოლოფი „სკრები“, ქალაქის „სკოჩი“, ორი მცირე ჯილდო, დაფა და ცარცი.

მონაწილეთა რიცხვი: 4

განხორციელების ინსტრუქცია:

ოთხი მოხალისე გამოიყვანეთ კლასის წინ და განუმარტეთ, რომ დააჯილდოვებთ იმ მონაწილეს, რომელიც ყველაზე მეტ სკრებს შეაგროვებს.

თამაში ტარდება ორ რაუნდად.

პირველ რაუნდის დროს აყარეთ სკრეპები ისე, რომ ისინი იატაკზე მიმოიბნეს და მიეცით მონაწილეებს საშუალება მათ მოსაგროვებლად (უჩუმრად ჩაინიშნეთ დრო, რომელიც მოგროვებას სჭირდება). დაითვალეთ, ვინ რამდენი სკრეპი შეაგროვა, ჩამონერეთ დაფაზე და დააჯილდოვეთ მონაწილე, რომელსაც მეტი სკრეპი აქვს მოგროვებული.

მეორე რაუნდის დაწყებამდე გაყავით ტერიტორია სკოჩის საშუალებით ოთხ ნაწილად. მიაკუთვნეთ თითოეულ მონაწილეს ერთი ნაწილი და განუმარტეთ, რომ სხვისი ტერიტორიიდან სკრეპების აკრეფა იკრძალება. აყარეთ სკრეპები ისე, რომ ოთხივე ტერიტორიაზე დაიპნეს (არათანაბრად). მიეცით მონაწილეებს საშუალება მოაგროვონ სკრეპები (უჩუმრად ჩაინიშნეთ დრო, რომელიც მოგროვებას სჭირდება). დაითვალეთ, ვინ რამდენი სკრეპი შეაგროვა, ჩამონერეთ დაფაზე და დააჯილდოვეთ მონაწილე, რომელსაც მეტი სკრეპი აქვს მოგროვებული.

განხილეთ კლასთან ერთად თამაშის შედეგები. მიაქციეთ ყურადღება, თუ რამდენად სწრაფად აიკრიფა სკრეპები პირველ და მეორე რაუნდში.

- რითია გამონვეული ეს განსხვავება?

სავარჯიშო 9: სიუჟეტური თამაში „უკმაყოფილო მომხმარებელი“

თემები, რომელსაც ეხმაურება: საბაზრო ჩავარდნები, სახელშეკრულებო ურთიერთობები, ნაკლიანი პროდუქცია, ხელშეკრულების პირობები, საბანკო პროცენტი.

ხანგრძლივობა: 30 წთ

საჭირო მასალა: ბარათები (იხ. ჩანართი, გვ. 31-32, სავარჯიშო 9)

მონაწილეთა რიცხვი: 12 ან მეტი

განხორციელების ინსტრუქცია:

დაყავით მოსწავლეები 4 ჯგუფად. დაურიგეთ ბარათები და მიეცით 7 წუთი პრეზენტაციის მოსამზადებლად.

პრეზენტაციების დასრულების შემდეგ მოაწყვეთ მათი განხილვა. დასვით კითხვები: სწორად იქცეოდა თუ არა მომხმარებელი? რომელი მენარმე უფრო მოგებულნი დარჩა? რატომ? (გაამახვილეთ ყურადღება მომხმარებლის და მენარმის მომავალ ურთიერთობებზე. გაუწევს თუ არა მომხმარებელი ამ მაღაზიას/სალონს რეკომენდაციას თავის ახლობლებთან)

სავარჯიშო 10: იმიტაციური თამაში „გამომცემლობა“.

თემები, რომელსაც ეხმაურება: ვაჭრობა, სპეციალიზაცია, აბსოლუტური უპირატესობა.

ხანგრძლივობა: 12-15 წუთი

საჭირო მასალა: 200 ცალი A-4 ფურცელი, ერთი კოლოფი „სკრეპი“, 4 ცალი კალმისტარი, დაფა და ცარცი.

მონაწილეთა რიცხვი: 12 ან მეტი

განხორციელების ინსტრუქცია:

მოამზადეთ დაფაზე ასეთი ცხრილი:

| | რაუნდი 1 | | რაუნდი 2 | | რაუნდი 3 | |
|---------|---------------|-----------------------|---------------|-----------------------|---------------|-----------------------|
| | სულ რაოდენობა | სტანდარტის შესაბამისი | სულ რაოდენობა | სტანდარტის შესაბამისი | სულ რაოდენობა | სტანდარტის შესაბამისი |
| ჯგუფი 1 | | | | | | |
| ჯგუფი 2 | | | | | | |
| ჯგუფი 3 | | | | | | |
| ჯგუფი 4 | | | | | | |

დაყავით კლასი 4 თანაბარ ჯგუფად. გააფრთხილეთ მოსწავლეები, რომ ყურადღებით გისმინონ. აუხსენით მათ შემდეგი:

„თითოეული ჯგუფი წარმოადგენს წიგნის გამომცემლობას. თამაშის დროს გამომცემლობები შეეჯიბრებიან, თუ რომელი უფრო მეტ წიგნს გამოუშვებს 2 წუთში. ჟიური (მასწავლებელი) გამოცემულად ჩათვლის მხოლოდ იმ წიგნებს, რომელიც სტანდარტს შეესაბამება.“

„წიგნის“ სტანდარტი ასეთია: A-4 ფურცელი გადაიკეცოს და ფრთხილად გაიხეს 4 თანაბარ ნაწილად. ეს ოთხი ფურცელი შეიკრას სკრეპით მარცხენა ზედა კუთხეში. „წიგნის“ პირველი გვერდის ზედა ნაწილში დაინეროს გამომცემლობის დასახელება (რომელიც თავად უნდა მოიფიქრონ. ერთხელ არჩეული დასახელების ცვლილება აღარ შეიძლება), ქვედა ნაწილში – გამომცემის წელი. დაინომროს მხოლოდ მე-3, მე-5 და მე-7 გვერდები, მარჯვენა ქვედა კუთხეში.“

გუნდებს დაურიგეთ 25-25 ცალი A-4 ფურცელი, 25-25 ცალი სკრეპი, თითო კალმისტარი და მიეცით 1 წუთი სამუშაო ტერიტორიის მოსამზადებლად.

ამის შემდეგ თამაში ტარდება სამ რაუნდად. თითო რაუნდის ხანგრძლივობაა 2 წუთი. რაუნდის დასრულების შემდეგ ჯგუფებმა დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტონ საქმიანობა. ჩამოართვით მათ ყველა დამზადებული „წიგნი“ (მათ შორის დაუსრულებელიც) და გაარჩიეთ, რამდენი მათგანი შეესაბამება სტანდარტს. შედეგები შეიტანეთ ცხრილში.

რაუნდებს შორის ჯგუფებს მიეცით 1 წუთი შემდგომი მუშაობის სტრატეგიის შესათანხმებლად (გამომცემლობის დასახელების ცვლილება არ დაიშვება). დაუმატეთ A-4 ფურცლები და სკრეპები საჭიროების მიხედვით.

თამაშის დასრულების შემდეგ გაარჩიეთ, რომელმა გუნდმა გაიმარჯვა თითოეულ რაუნდში და რატომ. გუნდი, რომელსაც მეტი გამარჯვება აქვს, დააჯილდოვეთ ტაშით.

სავარჯიშო 11: როლური თამაში „საპარლამენტო მოსმენა“

თემები, რომელსაც ეხმაურება: სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში, საზოგადოებრივი და კერძო ინტერესების ბალანსი.

ხანგრძლივობა: 25-30 წუთი

საჭირო მასალა: ბარათები (იხ. ჩანართი, გვ. 33-36, სავარჯიშო 11), ფლიპჩარტის 4 ფურცელი, 4 ფლომასტერი.

მონაწილეთა რიცხვი: 17 და მეტი

განხორციელების ინსტრუქცია:

აირჩიეთ ერთი მოხალისე, რომელიც პარლამენტის თავმჯდომარის როლს შეასრულებს. დანარჩენი მოსწავლეები დაჰყავით 4 ჯგუფად. დაურიგეთ „პარლამენტის თავმჯდომარეს“ და ჯგუფებს მათი როლების აღწერის ბარათები. მიეცით ჯგუფებს 5-7 წუთი დავალების შესასწავლად და პრეზენტაციების მოსამზადებლად. ამის შემდეგ სთხოვეთ „თავმჯდომარეს“ დაიწყოს საპარლამენტო მოსმენა.

თამაშის დასრულების შემდეგ ჰკითხეთ მოსწავლეებს, რა მოეწონათ და რა არა, საკანონმდებლო წინადადებაში.

სავარჯიშო 12: სიუჟეტური თამაში „ლობიოს ფული“

თემები, რომელსაც ეხმაურება: ფასები, ინფლაცია, აუქციონი.

ხანგრძლივობა: 10 წუთი

საჭირო მასალა: 2 ერთნაირი შეკვრა ტკბილეული (3-4 კანფეტი თითო შეკვრაში), 1 კგ ხმელი ლობიოს მარცვლები.

მონაწილეთა რიცხვი: 5-10

განხორციელების ინსტრუქცია:

თამაში ტარდება ორ რაუნდად.

პირველი რაუნდი:

გამოაცხადეთ, რომ გაქვთ გასაყიდი ტკბილეული და აცხადებთ მასზე აუქციონს. ფულის როლს კი ლობიოს მარცვლები შეასრულებს. 100 გრამი ლობიო განაწილეთ მონაწილეებს შორის შემთხვევითობის პრინციპით, არათანაბრად (პროტესტის შემთხვევაში განაცხადეთ, რომ რესურსები რეალობაშიც არათანაბრადაა განაწილებული) ისე, რომ თითოეულს 10-დან 50 მარცვლამდე ერგოს. ჩაატარეთ აუქციონი და გადაეცით ერთი შეკვრა ტკბილეული მას, ვინც მეტს გადაიხდის. დააფიქსირეთ ტკბილეულის ფასი.

მეორე რაუნდი:

დაუმატეთ მონაწილეებს ლობიოს მარცვლები (კვლავ არათანაბრად) ისე, რომ თითოეულს 50-დან 200 მარცვლამდე ერგოს. ჩაატარეთ აუქციონი და გადაეცით მეორე შეკვრა ტკბილეული მას, ვინც მეტს გადაიხდის. დააფიქსირეთ ამ ტკბილეულის ფასი.

გაარჩიეთ სავარჯიშო:

- რატომ გაიყიდა ორი ერთნაირი შეკვრა ტკბილეული სხვადასხვა ფასად?

მოსწავლის რვეულში მოცემული სავარჯიშოების პასუხები:

თავი 1

სავარჯიშო 1: დ.

სავარჯიშო 2: სწორია 2, დანარჩენი - არასწორია.

თავი 2

სავარჯიშო 1: 1ბ; 2ა; 3ა.

სავარჯიშო 4: 1ბ; 2გ; 3ა; 4ა; 5ბ.

თავი 3

სავარჯიშო 5: 1ა; 2გ; 3ბ; 4გ; 5დ.

თავი 4

სავარჯიშო 2: 1გ; 2ა, გ, ვ; 3გ; 4ბ; 5გ; 6დ

სავარჯიშო 7: ბ, ე, ვ, თ.

თავი 5

სავარჯიშო 1: ა.

სავარჯიშო 2: 1 - -; 2 + +; 3 + +; 4 + +; 5 - +; 6 - -; 7 + +; 8 - -; 9 + -; 10 - +; 11- -.

თავი 6

სავარჯიშო 2: 1ა; 2ბ; 3გ.

სავარჯიშო 3: სწორია 2, 3, 8. დანარჩენი - არასწორია.

სავარჯიშო 6: დ.

თავი 7

სავარჯიშო 2: 1გ, 2დ, 3ბ, გ, ე; 4ა; 5დ.

სავარჯიშო 3: სწორია 4 და 7, დანარჩენი - არასწორია.

სავარჯიშო 3: გივიმ უნდა ირბინოს, ზვიადმა - გაცუროს.

თავი 8

სავარჯიშო 1: 1გ; 2ა; 3დ; 4გ; 5გ, 6დ; 7ა.

სავარჯიშო 2: სწორია 5, დანარჩენი არასწორია.

ბამოსაჭრელი გარათები

საპარჯიშო 1

| |
|------------------------|
| პერსონალური კომპიუტერი |
| საბავშვო შოკოლადი |
| ნატურალური წვენი |
| სპორტული ფეხსაცმელი |
| თაფლი |

| |
|---------------------------------------|
| მომზადეთ პროდუქტის რეკლამა და სლოგანი |
| მომზადეთ პროდუქტის რეკლამა და სლოგანი |
| მომზადეთ პროდუქტის რეკლამა და სლოგანი |
| მომზადეთ პროდუქტის რეკლამა და სლოგანი |
| მომზადეთ პროდუქტის რეკლამა და სლოგანი |

სავარჯიშო 3

| | |
|---|---|
| თქვენ გაქვთ ჩაქუჩი | თქვენ გაქვთ ბეჭედი |
| თქვენ გაქვთ ფლეიერი | თქვენ გაქვთ ოქროს კალმისტარი |
| თქვენ გაქვთ მობილური ტელეფონის ჩასადები | თქვენ გაქვთ რესტორნის ორი სადილის კუპონი |
| თქვენ გაქვთ მზის სათვალე | თქვენ გაქვთ კონცერტის ორი ბილეთი |
| თქვენ გაქვთ ხელთათმანები | თქვენ გაქვთ ორი საშვი სამეჯლისო ცეკვების გაკვეთილზე |

| | |
|---|--|
| <p>გაცვალეთ მხოლოდ ოქროს კალმისტარზე</p> | <p>გაარკვიეთ, ვინ და რაში გაგიცვლით თქვენს ნივთს. შეეცადეთ ააწყოთ გაცვლების მიმდევრობა ისე, რომ საბოლოოდ თქვენ ფლემიერი გერგოთ</p> |
| <p>გაცვალეთ მხოლოდ რესტორანში სადილზე</p> | <p>გაცვალეთ მხოლოდ მობილური ტელეფონის ჩასადებზე</p> |
| <p>გაცვალეთ მხოლოდ კონცერტის ორ ბილეთზე</p> | <p>გაცვალეთ მხოლოდ მზის სათვალეზე</p> |
| <p>გაცვალეთ მხოლოდ სამეჯლისო ცეკვების ორ საშვზე</p> | <p>გაცვალეთ მხოლოდ ხელთათმანებზე</p> |
| <p>გაცვალეთ მხოლოდ ჩაქუჩზე</p> | <p>გაცვალეთ მხოლოდ ბეჭედზე</p> |

საპარჯიშო 5 (გაგრძელება)

| | |
|--|--|
| <p>თქვენ ხართ მომხმარებელი. შეეცადეთ ფული მთლიანად დახარჯოთ და მიიღოთ რაც შეიძლება მეტი სარგებელი.</p> | <p>თქვენ ხართ მომხმარებელი. შეეცადეთ ფული მთლიანად დახარჯოთ და მიიღოთ რაც შეიძლება მეტი სარგებელი.</p> |
| <p>თქვენ ხართ მომხმარებელი. შეეცადეთ ფული მთლიანად დახარჯოთ და მიიღოთ რაც შეიძლება მეტი სარგებელი.</p> | <p>თქვენ ხართ მომხმარებელი. შეეცადეთ ფული მთლიანად დახარჯოთ და მიიღოთ რაც შეიძლება მეტი სარგებელი.</p> |
| <p>თქვენ ხართ მომხმარებელი. შეეცადეთ ფული მთლიანად დახარჯოთ და მიიღოთ რაც შეიძლება მეტი სარგებელი.</p> | <p>თქვენ ხართ მომხმარებელი. შეეცადეთ ფული მთლიანად დახარჯოთ და მიიღოთ რაც შეიძლება მეტი სარგებელი.</p> |
| <p>თქვენ ხართ მომხმარებელი. შეეცადეთ ფული მთლიანად დახარჯოთ და მიიღოთ რაც შეიძლება მეტი სარგებელი.</p> | <p>თქვენ ხართ მომხმარებელი. შეეცადეთ ფული მთლიანად დახარჯოთ და მიიღოთ რაც შეიძლება მეტი სარგებელი.</p> |

საპარჯიშო 5 (გაგრძელება)

| | |
|--|--|
| <p>თქვენ ხართ მომხმარებელი. შეეცადეთ ფული მთლიანად დახარჯოთ და მიიღოთ რაც შეიძლება მეტი სარგებელი.</p> | <p>თქვენ ხართ მომხმარებელი. შეეცადეთ ფული მთლიანად დახარჯოთ და მიიღოთ რაც შეიძლება მეტი სარგებელი.</p> |
| <p>თქვენ ხართ მომხმარებელი. შეეცადეთ ფული მთლიანად დახარჯოთ და მიიღოთ რაც შეიძლება მეტი სარგებელი.</p> | <p>თქვენ ხართ მომხმარებელი. შეეცადეთ ფული მთლიანად დახარჯოთ და მიიღოთ რაც შეიძლება მეტი სარგებელი.</p> |
| <p>თქვენ ხართ ბიზნესმენი. შეეცადეთ გაყიდოთ მთელი პროდუქცია და მიიღოთ რაც შეიძლება დიდი მოგება.</p> | <p>თქვენ ხართ ბიზნესმენი. შეეცადეთ გაყიდოთ მთელი პროდუქცია და მიიღოთ რაც შეიძლება დიდი მოგება.</p> |
| <p>თქვენ ხართ ბიზნესმენი. შეეცადეთ გაყიდოთ მთელი პროდუქცია და მიიღოთ რაც შეიძლება დიდი მოგება.</p> | <p>თქვენ ხართ ბიზნესმენი. შეეცადეთ გაყიდოთ მთელი პროდუქცია და მიიღოთ რაც შეიძლება დიდი მოგება.</p> |

საპარჯიზო 6

| |
|--|
| <p>თქვენ ხართ: მონპლანდიის საფოსტო მომსახურების კომპანია. თქვენ წარდგენილი ხართ ნომინაციაზე: მონპლანდიის საამაყო კომპანია. მოამზადეთ საკონკურსო პრეზენტაცია. შეეცადეთ წარმოაჩინოთ თქვენი კომპანიის დადებითი მხარეები</p> |
| <p>თქვენ ხართ: მონპლანდიის სატელევიზიო კომპანია. თქვენ წარდგენილი ხართ ნომინაციაზე: მონპლანდიის საამაყო კომპანია. მოამზადეთ საკონკურსო პრეზენტაცია. შეეცადეთ წარმოაჩინოთ თქვენი კომპანიის დადებითი მხარეები</p> |
| <p>თქვენ ხართ: მონპლანდიის ცენტრალური უნივერსიტეტის საკალათბურთო გუნდი. თქვენ წარდგენილი ხართ ნომინაციაზე: მონპლანდიის საამაყო კომპანია. მოამზადეთ საკონკურსო პრეზენტაცია. შეეცადეთ წარმოაჩინოთ თქვენი კომპანიის დადებითი მხარეები</p> |
| <p>თქვენ ხართ: მონპლანდიის მობილური ოპერატორი „მობ-მობი“. თქვენ წარდგენილი ხართ ნომინაციაზე: მონპლანდიის საამაყო კომპანია. მოამზადეთ საკონკურსო პრეზენტაცია. შეეცადეთ წარმოაჩინოთ თქვენი კომპანიის დადებითი მხარეები</p> |
| <p>თქვენ ხართ: ნავთობის მიმწოდებელი კომპანია „ოილ-ოილი“. თქვენ წარდგენილი ხართ ნომინაციაზე: მონპლანდიის საამაყო კომპანია. მოამზადეთ საკონკურსო პრეზენტაცია. შეეცადეთ წარმოაჩინოთ თქვენი კომპანიის დადებითი მხარეები</p> |
| <p>თქვენ ხართ ჟიური. თქვენ უნდა აირჩიოთ მონპლანდიის საამაყო კომპანია. მოისმინეთ კანდიდატების პრეზენტაციები და დაუსვით კითხვები.</p> |

| |
|--|
| <p>მონპლანდიის საფოსტო მომსახურების კომპანია ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი და აღიარებული კომპანიაა სამეფოში. იგი გამოირჩევა მაღალი კლასის საფოსტო კონტროლით. მონოპოლიას შენარჩუნებული აქვს მაღალი მოგება და მაღალი ხელფასები.</p> |
| <p>მონპლანდიის სამეფოში ერთადერთი სატელევიზიო კომპანიაა. იგი სახელმწიფოს ეკუთვნის.</p> |
| <p>ახლო წარსულში გუნდი „აია“ ერთადერთი საუნივერსიტეტო საკალათბურთო გუნდი იყო. მისი პოპულარობა ხელს უწყობს ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას. გუნდის წევრებს უნივერსიტეტი საკმაოდ მაღალ ხელფასებს უხდის.</p> |
| <p>„მობილი“ სამეფოში ერთადერთი მობილური ოპერატორია, რომელიც საკმაოდ მაღალ ფასებს და არცთუ ისე ხარისხიან მომსახურებას სთავაზობს მომხმარებლებს.</p> |
| <p>„ოილ-ოილი“ სამეფოში სანავის მიმწოდებელი ერთადერთი კომპანიაა, რომელიც ინარჩუნებს წარმოების მაღალ დონეს და დაბალ ფასებს. ოილ-ოილი უცხოური კომპანიაა.</p> |
| <p>გაითვალისწინეთ: „ოილ-ოილი“ უცხოური კომპანიაა; მონპლანდიის გზები გადატვირთულია ტრანსპორტით; მონპლანდიის მეფეს მიაჩნია, რომ სანავის ფასები უნდა გაიზარდოს; საკალათბურთო გუნდები მონპლანდიის სხვა უნივერსიტეტებშიც შეიქმნა; არსებობს მოსაზრება, რომ თუკი მონპლანდიაში საფოსტო მომსახურებას რამდენიმე კომპანია შეასრულებს, მომსახურების ეფექტურობა გაიზარდება (საფოსტო გზავნილები უფრო სწრაფად მივა) და ფასი კი შემცირდება; ახალი ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა ტელევიზიის და მობილური ტელეფონების ბაზარზე სხვა კომპანიებიც შევიდნენ; მობილური ტელეფონების ბაზარზე ახალი კომპანიები უკვე გამოჩნდა და მათი მომსახურების ხარისხი და ფასები მომხმარებლისთვის მიმზიდველია.</p> |

სავარჯიშო 9

| |
|---|
| <p>ნინომ შეიძინა მობილური ტელეფონი. ერთ კვირაში აღმოაჩინა, რომ ტელეფონის მიკროფონი დროდადრო ითიშება.</p> |
| <p>გივიმ შეიძინა ტორტი. სახლში აღმოაჩინა, რომ ტორტი ვადაგასულია.</p> |
| <p>მაკას სილამაზის სალონიდან დაურეკეს და უფასო კოსმეტიკური პროცედურა შესთავაზეს. სალონში მაკა დაარწმუნეს, რომ შემოთავაზებული პროცედურა რეგულარულად უნდა ჩაიტაროს. მაკამ მომავალი 10 პროცედურის ღირებულება წინასწარ გადაიხადა. სახლში მოსვლისას მაკა მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა.</p> |
| <p>დათომ ინტერნეტით შეიძინა ფეხსაცმელი. როდესაც ფეხსაცმელი მიიღო, აღმოჩნდა რომ ფეხსაცმელი არ ეტეოდა.</p> |

ახსენით, როგორ უნდა მოიქცეს ნინო. მოამზადეთ ნინოს და მალაზიის წარმომადგენლების ურთიერთობის ამსახველი მინი-სპექტაკლი.

ახსენით, როგორ უნდა მოიქცეს გივი. მოამზადეთ გივის და მალაზიის წარმომადგენლების ურთიერთობის ამსახველი მინი-სპექტაკლი.

ახსენით, როგორ უნდა მოიქცეს მაკა. მოამზადეთ მაკას და სალონის წარმომადგენლების ურთიერთობის ამსახველი მინი-სპექტაკლი.

ახსენით, როგორ უნდა მოიქცეს დათო. მოამზადეთ დათოს და ინტერნეტ-გაყიდვების ფირმის ურთიერთობის ამსახველი მინი-სპექტაკლი.

საპარჯიზო 11

თქვენ ხართ პარლამენტის თავმჯდომარე.
თქვენ უნდა ჩაატაროთ ახალი საკანონმდებლო ინიციატივის საპარლამენტო განხილვა.

საკანონმდებლო ინიციატივის მოკლე შინაარსი:
ზოგიერთ სატრანსპორტო საშუალებებზე ახალი გადასახადების დაწესების შედეგად შეიქმნას ფონდი, რომელიც კოლეჯების სტუდენტების განათლებას მოხმარდება.

თქვენ ხართ ახალი კანონპროექტის საინიციატივო ჯგუფი.
ჯგუფში არიან: სპორტსმენი, პოლიტიკოსი, პროფესორი და ცნობილი ბიზნესმენი.
თქვენ უნდა წარადგინოთ სხდომაზე საკანონმდებლო ინიციატივა.

ჩამოაყალიბეთ და დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია.
მოამზადეთ პრეზენტაცია და წარადგინეთ სხდომაზე.
წინასწარ მოამზადეთ „ჩამჭრელი“ კითხვები მონინალმდეგე მხარისთვის.

თქვენ ხართ ახალი კანონპროექტის მომხრე პარლამენტარები.
თქვენ უნდა წამოაყენოთ არგუმენტები ახალი საკანონმდებლო ინიციატივის დასაცავად.

ჩამოაყალიბეთ და დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია.
მოამზადეთ პრეზენტაცია და წარადგინეთ სხდომაზე.
წინასწარ მოამზადეთ „ჩამჭრელი“ კითხვები მონინალმდეგე მხარისთვის.

გახსენით სხდომა ასე: „მოგესალმებით. ვინცებთ სხდომას აქ წარმოდგენილი საინიციატივო ჯგუფის მიერ შემოტანილი საკანონმდებლო ინიციატივის განსახილველად“. გააფრთხილეთ გამომსვლელები, რომ მათ მხოლოდ 3 წუთი აქვთ გამოსვლებისთვის და კიდევ 2 წუთი კითხვებზე პასუხისთვის. ამის შემდეგ სიტყვა მიეცით გამომსვლელებს შემდეგი მიმდევრობით: 1. კანონის ინიციატორები, 2. მომხრე პარლამენტარები, 3. მოწინააღმდეგე პარლამენტარები, 4. საზოგადოების წარმომადგენლები. მკაცრად დაიცავით ყოველი გამომსვლელის 3-წუთიანი რეგლამენტი: თვალი ადევნეთ საათს და დადგენილი დროის გასვლის შემდეგ გააწყვეტინეთ გამომსვლელს, სთხოვეთ დაასრულოს წინადადება, ამის შემდეგ მაძლობა გადაუხადეთ და სიტყვა გადაეცით შემდეგ გამომსვლელს.

კითხვების დასმის ან კომენტარის გამოთქმის საშუალება მონაწილეებს მიეცით მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყველა გამოსვლა დასრულდება. თითო მხარეს მიეცით 1 შეკითხვის უფლება. შეკითხვის შემდეგ სიტყვა მიეცით პასუხის გამცემს. შეეცადეთ აღკვეთოთ ადგილიდან წამოყვირებები. მოსთხოვეთ მონაწილეებს დაიცვან წესრიგი. თვალი ადევნეთ საათს. 8-10 წუთის შემდეგ შეწყვიტეთ კითხვა-პასუხი. სთხოვეთ კანონის ინიციატორებს, გააგრძელონ საკანონმდებლო ინიციატივის დახვეწა და გაითვალისწინონ სხდომაზე გამოთქმული შენიშვნები. ამის შემდეგ მაძლობა გადაუხადეთ მონაწილეებს და გამოაცხადეთ სხდომა დახურულად.

საკანონმდებლო ინიციატივის მოკლე აღწერა: ზოგიერთ სატრანსპორტო საშუალებებზე ახალი გადასახადების დაწესების შედეგად შეიქმნას ფონდი, რომელიც კოლეჯების სტუდენტების განათლებას მოხმარდება. კერძოდ, უნდა დაწესდეს შემდეგი ახალი გადასახადები: მძლავრ და საშუალოდ მძლავრ ავტომობილებზე - 1000 ლარი ყოველ მანქანაზე; დიდი ზომის ავტომობილებზე - 4000 ლარი; საცხოვრებელ ვაგონებზე, სატვირთო მანქანებზე და სპორტულ მანქანებზე - 6000 ლარი, მარჯვენასაჭიან ავტომობილებზე - 10 000 ლარი. მცირე გადასახადი დაწესდება აგრეთვე მოპედებზე, მოტოროლერზე და დაბალი სიმძლავრის მოტოციკლებზე.

თქვენი პოზიციის არგუმენტაციისას მიუთითეთ: ახალი ფონდი უზრუნველყოფს კოლეჯის ყველა სტუდენტის უფასო განათლებას, რის შედეგადაც გაიზრდება სტუდენტების რიცხვი და განათლებული ახალგაზრდების რაოდენობა ქვეყანაში; 21-ე საუკუნეში მხოლოდ საშუალო განათლება საკმარისი არაა, აუცილებელია კოლეჯის დონის განათლება; სტუდენტების სოციალური დახმარების არსებული პროგრამები, რომლებიც ძირითადად სტუდენტთა გაჭირვებაზეა დამყარებული, უხერხული და უსამართლოა; ახალი ფონდი აგრეთვე დაეხმარება კოლეჯებს სტუდენტთა სახელმძღვანელოებით მომარაგებაში.

საკანონმდებლო ინიციატივის მოკლე აღწერა: ზოგიერთ სატრანსპორტო საშუალებებზე ახალი გადასახადების დაწესების შედეგად შეიქმნას ფონდი, რომელიც კოლეჯების სტუდენტების განათლებას მოხმარდება. კერძოდ, უნდა დაწესდეს შემდეგი ახალი გადასახადები: მძლავრ და საშუალოდ მძლავრ ავტომობილებზე - 1000 ლარი ყოველ მანქანაზე; დიდი ზომის ავტომობილებზე - 4000 ლარი; საცხოვრებელ ვაგონებზე, სატვირთო მანქანებზე და სპორტულ მანქანებზე - 6000 ლარი, მარჯვენასაჭიან ავტომობილებზე - 10 000 ლარი. მცირე გადასახადი დაწესდება აგრეთვე მოპედებზე, მოტოროლერზე და დაბალი სიმძლავრის მოტოციკლებზე. ახალი ფონდი უზრუნველყოფს კოლეჯის ყველა სტუდენტის უფასო განათლებას, რის შედეგადაც გაიზრდება სტუდენტების რიცხვი და განათლებული ახალგაზრდების რაოდენობა ქვეყანაში.

თქვენი პოზიციის დასაბუთებისას ყურადღება გაამახვილეთ ახალი გადასახადების დადებით ეფექტზე: შემცირდება ტრანსპორტის მოხმარება და ჰაერის დაბინძურება, შემცირდება საწვავის მოხმარება და ზემონმედება დედამიწის კლიმატზე. გარდა ამისა, მიუთითეთ, რომ ავტომობილების მფლობელთა უმრავლესობა საზოგადოების შეძლებული ფენაა.

საპარჯიშო 11 (გაგრძელება)

თქვენ ხართ ახალი კანონპროექტის მონინაალმდეგე პარლამენტარები.
თქვენ უნდა წამოაყენოთ არგუმენტები ახალი საკანონმდებლო ინიციატივის წინააღმდეგ.

წამოაყალიბეთ და დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია.
მომზადეთ პრეზენტაცია და წარადგინეთ სხდომაზე.
წინასწარ მოამზადეთ „ჩამჭრელი“ კითხვები მონინაალმდეგე მხარისთვის.

თქვენ ხართ დაინტერესებული საზოგადოება - ავტომობილების მესაკუთრეები.
თქვენ უნდა წამოაყენოთ არგუმენტები ახალი საკანონმდებლო ინიციატივის წინააღმდეგ.

წამოაყალიბეთ და დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია.
მომზადეთ პრეზენტაცია და წარადგინეთ სხდომაზე.
წინასწარ მოამზადეთ „ჩამჭრელი“ კითხვები მონინაალმდეგე მხარისთვის.

საკანონმდებლო ინიციატივის მოკლე აღწერა: ზოგიერთ სატრანსპორტო საშუალებებზე ახალი გადასახადების დანესების შედეგად შეიქმნას ფონდი, რომელიც კოლეჯების სტუდენტების განათლებას მოხმარდება. კერძოდ, უნდა დანესდეს შემდეგი ახალი გადასახადები: მძლავრ და საშუალოდ მძლავრ ავტომობილებზე - 1000 ლარი ყოველ მანქანაზე; დიდი ზომის ავტომობილებზე - 4000 ლარი; საცხოვრებელ ვაგონებზე, სატვირთო მანქანებზე და სპორტულ მანქანებზე - 6000 ლარი, მარჯვენასაჭიან ავტომობილებზე - 10 000 ლარი. მცირე გადასახადი დანესდება აგრეთვე მოპედებზე, მოტოროლერზე და დაბალი სიმძლავრის მოტოციკლებზე. ახალი ფონდი უზრუნველყოფს კოლეჯის ყველა სტუდენტის უფასო განათლებას, რის შედეგადაც გაიზრდება სტუდენტების რიცხვი და განათლებული ახალგაზრდების რაოდენობა ქვეყანაში.

თქვენი პოზიციის დასაბუთებისას მიუთითეთ, რომ უფასო განათლებას ადამიანი ნაკლებად აფასებს; რომ ახალი გადასახადი დამატებითი ტვირთია საზოგადოებისთვის და ა.შ.

საკანონმდებლო ინიციატივის მოკლე აღწერა: ზოგიერთ სატრანსპორტო საშუალებებზე ახალი გადასახადების დანესების შედეგად შეიქმნას ფონდი, რომელიც კოლეჯების სტუდენტების განათლებას მოხმარდება. კერძოდ, უნდა დანესდეს შემდეგი ახალი გადასახადები: მძლავრ და საშუალო ავტომობილებზე - 1000 ლარი ყოველ მანქანაზე; დიდი ზომის ავტომობილებზე - 4000 ლარი; საცხოვრებელ ვაგონებზე, სატვირთო მანქანებზე და სპორტულ მანქანებზე - 6000 ლარი, მარჯვენასაჭიან ავტომობილებზე - 10 000 ლარი. მცირე გადასახადი დანესდება აგრეთვე მოპედებზე, მოტოროლერზე და დაბალი სიმძლავრის მოტოციკლებზე. ახალი ფონდი უზრუნველყოფს კოლეჯის ყველა სტუდენტის უფასო განათლებას, რის შედეგადაც გაიზრდება სტუდენტების რიცხვი და განათლებული ახალგაზრდების რაოდენობა ქვეყანაში.

თქვენი პოზიციის დასაბუთებისას ყურადღება გაამახვილეთ გადასახადების უსამართლო ზომაზე, სოციალური პრობლემებზე, რომელსაც ეს გადასახადები გამოიწვევს.